



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000063341687321

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 6

07 / აპრილი / 2021 წ.

## დადგენილება

**„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N12 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 09/02/2018, სარეგისტრაციო კოდი - 010250020.35.162.016431) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „დ) ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური დაწესებულებების მართვას;“
2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „კ) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაობის კოორდინაციას და ადმინისტრირებას.“
3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ლ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ლ) საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას საქართველოს კანონმდებლობითა და საკუთარი დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.“
4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „მ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „მ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.“

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელემტრონულად



თამარ ყვინიშვილი